დანართი
დამტკიცებულია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის მინისტრის
2024 წლის 24 იანვარი
#60/ფ ბრძანებით

აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერა
(პროგრამის კოდი: 06 05)

ქ. თბილისი, 2024 წელი

1. **პროგრამის მიზნები და ამოცანები:**

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს:

ა) სამეცნიერო ლიტერატურის/კვლევის გამოცემა.

ბ) სამგზავრო ხარჯები მეცნიერებისთვის და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.

გ) აფხაზეთის მკვიდრი მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენენ კვლევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

დ) შესაძლებელია დაფინანსდეს მეცნიერი, რომელიც არაა აფხაზეთის მკვიდრი, მაგრამ მისი კვლევა თემატურად დაკავშირებულია საქართველოს ამ კუთხესთან.

ე) უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსებით წარმოდგენილ და თემატურად აფხაზეთთან დაკავშირებულ პროექტებს.

ვ) არ დაფინანსდება ზედიზედ 2 წლის მანძილზე სამეცნიერო ნაშრომის ბეჭდვის თაობაზე ერთი და იგივე ავტორის მიერ შემოტანილი პროექტი.

2. **პროგრამის დასაბუთება:**

1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ, როცა აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევით 300 000-ზე მეტი აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა იძულებული შეიქნა მიეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა მოწყვეტილი მშობლიურ საგანმანათლებლო, თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათი დაუღალავი შრომის შედეგად, მოხერხდა აღდგენილიყო ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სადაც ფუნქციონირებს აფხაზური ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 2010 წელს შეუერთდა ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა. თბილისში დაარსდა ა(ა)იპ აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ამ დაწესებულებებში მიმდინარეობს საფუძვლიანი კვლევები აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში, ქართველოლოგიაში, აფხაზეთის ისტორიაში, ქართულ-აფხაზურ ლიტერატურულ ურთიერთობებში, არქეოლოგიაში, ეკონომიკაში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. მნიშვნელოვანია ამ კვლევების შედეგების წარმოჩენა საზოგადოების წინაშე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ხშირ შემთხვევაში, დევნილი მეცნიერები, მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო, ვერ ახერხებენ კვლევითი სამუშაოების ჩატარებას ან მიღებული შედეგების გამოქვეყნებას.

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და აფხაზეთთან დაკავშირებული თემების სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში კიდევ უფრო წარმოჩენას.

3. **პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში მოღვაწე იურიდიული პირების და მათი რეკომენდაციით იმ ფიზიკური პირების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) წარმოდგენილი ის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ავტორთა გუნდის მიერ მომზადებული შრომების კრებულების გამოცემას, დოქტორანტების, დოქტორის აკადემიური ხარისხის, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირების მეცნიერული

კვლევების გამოქვეყნებას, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მათ მეცნიერულ საქმიანობასთან და სწავლასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯების დაფინანსებას.

იმ პროექტების განაცხადების შემოტანა, რომლებიც ეხება პროგრამის პირობებითა და თემატიკით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, მოხდება შემდეგი ვადების მიხედვით:

ა) პროგრამის გამოცხადებიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე მიიღება ბეჭდვასთან დაკავშირებლი პროექტები, რომლებსაც განიხილავს კომისია შესაბამისი კვარტალური ბიუჯეტის ფარგლებში;

ბ) მეცნიერებისთვის და დოქტორანტურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სამგზავრო ხარჯების დაფინანსება განხორციელდება პროგრამის გამოცხადებიდან 2024 წლის 30 ნოემბრამდე.

საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში მოღვაწე დაწესებულებების რეკომენდაციით ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ იმ პროექტებზე, რომლებიც დაფინანსდება კომისიის გადაწყვეტილებით და ითვალისწინებენ კვლევების ბეჭდვას, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო საქმიანობასთან და დოქტორანტურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სწავლასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯების დაფინანსებას, სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა გადაირიცხება უშუალოდ მათი წარმომდგენი იურიდიული პირების ანგარიშებზე, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან სამინისტროს წინაშე გამოყოფილი თანხების მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციით.

დოქტორანტურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ და სწავლობენ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ვერ იქნებიან წარმოდგენილნი საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ, სამგზავრო ხარჯებთან დაკავშირებული თანხები ჩაერიცხებათ იმ კომპანიებში, საიდანაც წარმოადგენენ შესაბამის ინვოისებს.

პროექტების ავტორებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება მინისტრის სახელზე;

ბ) სარეკომენდაციო წერილი წარმომდგენი დაწესებულებიდან;

გ) განსახილველი პროექტის თაობაზე შევსებული განაცხადის/ანკეტის ფორმა;

დ) არანაკლებ ორი რეცენზია გამოსაცემ ნაშრომზე;

ე) გამოსაცემი ნაშრომის ელექტრონული ვერსია;

ვ) პროექტის წარმომდგენი რეკომენდირებული პირის ავტობიოგრაფია (cv);

ზ) პირადობის და დევნილის მოწმობის ასლები;

თ) ინვოისები არანაკლებ ორი გამომცემლობიდან, ხოლო სამგზავრო ხარჯების დაფინანსებისას შესაბამისი კომპანიებიდან;

ი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო საქმიანობასთან, კონფერენციებში მონაწილეობასა და დოქტორანტურის პროგრამებზე სწავლასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯების დაფინანსებისას წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე მიწვევის, სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;

კ) უცხო ქვეყანაში შესვლის ნებართვა, ანუ ვიზა.

სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ განხორციელდება წარმოდგენილი პროექტების შეფასება შემდეგი სახით:

ა) პროექტი შეფასდება ქულებით 1-დან 10-მდე;

ბ) პროექტები დაფინანსდება ჯამური ქულების რანჟირების მიხედვით შესაბამისი კვარტალური ფინანსური რესურსების ფარგლებში. ავტორებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარი გაანგარიშებები დასაფინანსებელ პროექტებზე (ინვოისი/ხარჯთაღრიცხვა), რომელთა შეფასება

მოხდება გრადაციების: მაღალი 8-10 ქულა, საშუალო 5-7 ქულა, დაბალი 1-4 ქულის მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ზ.ა) პრობლემის ატქუალურობა და კვლევის სიახლე;

ზ.ბ) აღწერილი პროექტის მიზნების, განსახორციელებელი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების ტრანსპარანტულობა;

ზ.გ) პროექტის განხორციელებით კონკრეტული მეცნიერის პროფესიული წინსვლისათვის ხელშეწყობა;

ზ.დ) სამეცნიერო კონფერენციებზე თანამედროვე აფხაზეთის აქტუალური პრობლემების სათანადო წარმოჩენა;

ზ.ე) კვლევის შედეგებით უცხოეთის სათანადო სამეცნიერო წრეების დაინტერესების შესაძლებლობა;

ზ.ვ) კონკრეტული სამეცნიერო პროექტებით ინფორმაციის გაცვლის და გამოცდილების გაზიარების, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში ინტეგრირებისა და უცხოეთში განათლების მიღებაში ხელშეწყობის ხარისხი.

გ) იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ პროექტზე გადაწყვეტილების მიღება სცილდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს, პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს პროექტის შესაფასებლად კომპეტენტური და დამოუკიდებელი ექსპერტების შერჩევას;

დ) პროექტის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად და დამოკიდებულია პრობლემის ატქუალურობაზე, თანადაფინანსების ოდენობაზე და პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ბიუჯეტზე.

4. პოგრამის შედეგები

პროგრამა ხელს უწყობს კონკრეტული მეცნიერის პროფესიულ წინსვლას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას, სამეცნიერო კონფერენციებზე თანამედროვე აფხაზეთის აქტუალური პრობლემების სათანადოდ წარმოჩენას, კვლევების შედეგებით უცხოეთის შესაბამისი სამეცნიერო წრეების დაინტერესების შესაძლებლობას, პროგრამის ფარგლებში ნაშრომების გამოცემას აფხაზეთის ისტორიაში, ქართულ-აფხაზურ ლიტერატურულ ურთიერთობებში, არქეოლოგიაში, ეკონომიკაში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ეთნოლოგიაში, ლინგვისტიკაში. თითოეულ ამ დარგში პროგრამის ფარგლებში გამოიცემა სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა მიმართ დიდია დაინტერესება როგორც აკადემიურ წრეებში, ისე აფხაზეთის საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებაში. მნიშვნელოვანი შედეგია აგრეთვე ისიც, რომ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტთა მიერ განათლების მიღებას უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კონკრეტული საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო პროექტები კი ინფორმაციის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში ინტეგრირებას.

5. პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შედეგების შეფასებისას აღსანიშნავია ის, თუ რამდენი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა დაფინანსდა პროგრამის ფარგლებში, რამდენ სტუდენტს შეეწყო ხელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ განათლების მიღებაში, როგორაა გაშუქებული სამეცნიერო კონფერენციებზე და კვლევებში აფხაზეთის აქტუალური პრობლემები, რამდენადაა წარმოჩენილი სიახლეები ამ საკითხების განხილვისას, როგორია კვლევების შედეგებით უცხოეთის სამეცნიერო წრეების დაინტერესებისა და ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის ხარისხი, როგორია კონფერენციებზე და

კვლევებში წარმოდგენილ საკითხებზე გამოხმაურება აკადემიურ წრეებში და აფხაზეთის საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებაში, ინტერნეტში, პრესასა და ტელევიზიაში.

6. მოსალოდნელი რისკები

პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია თან ახლდეს შემდეგი სახის რისკები:

ა) დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შეუსრულებლობა;

ბ) პროექტის შესასრულებლად ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევა;

გ) შესაბამისი საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენა;

დ) დაინტერესებულ პირთათვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა;

ე) საზოგადოების ნეგატიური გამოხმაურება დაფინანსებული პროექტების შედეგების თაობაზე;

ვ) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების დაწესება.

7. პროგრამის სიცოცხლისუნარიანობა

წინამდებარე სახით პროგრამა სამინისტროს მიერ ხორციელდება 2010 წლიდან. მისი შედეგებიდან და სამეცნიერო საზოგადოების გამოხმაურებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი გაგრძელება.

პროგრამის კოორდინატორი ბესიკ ოდიშარია (სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებაზე.

პროგრამა წინამდებარე სახით მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის კოდი	დასახელება	2024 წელი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
06 05	აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერა	15000	3000	3000	4000	5000